NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის

საკონტაქტო პირი: თეონა ყუფუნია, NDI
საქართველოს პროგრამის ხელმძღვანელი
(+995) 577 719134; tkupunia@ndi.org

26 სექტემბერი, 2013

კოალიცია ქართულ ოცნება და ივანიშვილი პოპულარობას ინარჩუნებენ; მარგველაშვილი და ბაქრაძე საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის მოწინავე ადგილებზე დგანან

თბილისი - დღეს ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები წარადგინა. კვლევის მიხედვით, პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი კვლავ ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ ლიდერად რჩება საქართველოში და მისი მოწონების მაჩვენებელი 69 პროცენტს შეადგენს, ხოლო გამოკითხულთა 50 პროცენტი კოალიცია ქართულ ოცნებას მათთან ყველაზე ახლოს მდგომ „პარტიად“ მიიჩნევს.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და კოალიცია ქართული ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, ბიძინა ივანიშვილის შემდეგ, კოალიციის ყველაზე მოწონებადი ლიდერები არიან. დავით უსუფაშვილის მოწონების მაჩვენებელი 60 პროცენტია, ხოლო გიორგი მარგველაშვილის - 56 პროცენტი.

გამოკითხულთა 81 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი ოპოზიციური პარტიის არსებობა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გამოკითხულთა 42 პროცენტმა ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად დაასახელა. რესპონდენტებმა აგრეთვე დაასახელეს დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო - 8 პროცენტი, ქართული ოცნება და ლეიბორისტული პარტია - თითოეული 5 პროცენტი.
ოპოზიციური პარტიების ლიდერებს შორის, გამოკითხულები უმცირესობის ლიდერს, დავით ბაქრაძეს, ყველაზე პოპულარულ ოპოზიციურ ლიდერად მიიჩნევენ. მისი მოწონების მაჩვენებელი 49 პროცენტია. გიორგი თარგამაძის მოწონების მაჩვენებელი 36 პროცენტია, შალვა ნათელაშვილის - 34 პროცენტი, ხოლო ნინო ბურჯანაძის - 33 პროცენტი.

კითხვაზე, ყველაზე მეტად ვის ისურვებდით საქართველოს შემდეგ პრეზიდენტად, გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს და წარმოდგენილია 39 პროცენტით. მას მოყვება დავით ბაქრაძე 18 პროცენტით. ნინო ბურჯანაძე 7 პროცენტით არის წარმოდგენილი. შალვა ნათელაშვილი და გიორგი თარგამაძე თითოეული - 3 პროცენტით.

ჯამურმა მაჩვენებელმა იმ ადამიანებისა, ვინც შეკითხვაზე, ყველაზე მეტად ვის ისურვებდით საქართველოს შემდეგ პრეზიდენტად, უპასუხა „არ ვიცი“ , „არც ერთი კანდიდატი“, და „უარი პასუხზე“, 26 პროცენტი შეადგინა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია იმისათვის, რომ გადაწყდეს, როგორც არჩევნების პირველი ტურის შედეგები, ასევე ალბათობა იმისა, ჩატარდება თუ არა მეორე ტური.

„ვუახლოვდებით რა 27 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს, გიორგი მარგველაშვილი, ორი ერთთან შეფარდებით, წინ უსწრებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს. დავით ბაქრაძე ორი ერთთან შეფარდებით წინ უსწრებს ყველა სხვა ოპოზიციურ კანდიდატს. თუმცა არჩევნების საბოლოო შედეგები და მეორე ტურის ალბათობა გადაწყდება იმის მიხედვით, თუ რა არჩევანს გააკეთებს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ამ ეტაპზე არც ერთი კანდიდატს არ უჭერს მხარს“, ამბობს NDI საქართველოს დირექტორი, ლუის ნავარო.

აღნიშნული შედეგები წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის კვლევის - „საზოგადოების განწყობა საქართველოში“, - შემადგენელ ნაწილს, რომლის მიხედვითაც მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებია სამუშაო ადგილები, ტერიტორიული მთლიანობა და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება.

კვლევა ამა წლის 18 აგვისტოდან 3 სექტემბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,838 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ქართულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა. მასში ასახულია მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიის, რეფორმების და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხების მიმართ. კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 2%.

NDI-ის კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) და ატარებს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC).

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიის განმტკიცებისა და გავრცელებისთვის მსოფლიოში. NDI მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org